

საქართველოს წიწვიან ტყეთა ეპიფიტური ლიქენების

მრავალფეროვნება და ეკოლოგია

მარიამ გულბიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

(მიმართულება : ეკოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: მარიამ გულბიანი

თარიღი: 18.06.2018

სარჩევი

აბსტრაქტი	4
ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი.....	Error! Bookmark not defined.
1. შესავალი.....	7
1.1. აქტუალურობა.....	Error! Bookmark not defined.
1.2. კვლევის მიზანი	8
1.3. საკვლევი საკითხები	8
1.4. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
2. მეთოდოლოგია	12
2.1.საკვლევი არე.....	12
2.2. მონაცემთა ბაზა.....	14
2.3.მონაცემთა ანალიზი.....	14
3. შედეგები	16
4. შედეგების ინტერპრეტაცია / დისკუსია	41
5. დასკვნები.....	47
6. ბიბლიოგრაფია.....	47

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის ძირითადი მიზანი იყო წიწვიანი ტყეების ეპიფიტური ლიქენების ზრდის ფორმის (ქაფისებრი, ფირფიტისებრი, ბუჩქისებრი) რეპროდუქციის, ფიკობიონტის (ლურჯ-მწვანე წყალმცენარე, კოკოიდური მწვანე წყალმცენარე თუ მწვანე წყალმცენარე (*Trentepohlia*) ფუნქციური ნიშნების გამოყოფა და მათი კანონზომიერი კავშირის დადგენა 19 ბიოკლიმატურ პარამეტრთან. გამოვყავით შესაბამისი ჯგუფები და განვსაზღვრეთ, თუ რომელი იყო უპირატესი პარამეტრი და შევადარეთ იტალიელი და ესპანელი ავტორების შედეგებს.

ლიქენებისთვის ხელმისაწვდომ ეკოლოგიურ ნიშებს პოტენციურად ზღუდავს წყალმცენარე, რომელთანაც თანაცხოვრობს სოკო ამა თუ იმ ლიქენში. ეს კი განაპირობებს ჰაბიტატ სპეციფიკური ლიქენების ჯგუფების არსებობას და კერძოდ იმას, რომ მსგავს ჰაბიტატებში მცხოვრებ ლიქენებს აქვთ მსგავსი ფოტობიონტები.

ლიქენტა ფუნქციურ ჯგუფებზე ბიოკლიმატური ფაქტორების გავლენის წარმოდგენილი კვლევის შესაფასებლად შევარჩიეთ წიწვიანი ტყეების ჰაბიტატი, რომელიც ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ჰაბიტატია საქართველოში და რომლის ძირითადი შემქმნელებია აღმოსავლური ნაძვი, (*Picea orientalis*) კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana*) და კავკასიური ფიჭვი (*Pinus kochiana*).

ეკოლოგიური ინდიკატორების კუთხით რიგ ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ ფუნქციური მრავალფეროვნება უფრო კარგად ასახავს, ეკოსისტემის ფუნქციონირებას ან ეკოსისტემის საპასუხო რეაქციას გარემო ფაქტორებზე, ვიდრე სახეობრივი სიმდიდრე.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევით დავადგინეთ, თუ როგორ კორელირებს ეპიფიტური ლიქენების სხვადასხვა ფუნქციური ჯგუფი ადგილმდებარეობათა გეოგრაფიულ გრძედებთან და ზღვის დონიდან სიმაღლესთან. აღნიშნული ფაქტორები ყველაზე მეტად განაპირობებენ მათი სივრცული გავრცელების თავისებურებებს.

ნაშრომში წარმოდგენილი ტიპის კვლევებს თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ლიქენების მრავალფეროვნების და ფუნქციური ჯგუფების სივრცული განაწილების შესწავლაში. სამომავლო კვლევებში მნიშვნელოვანია შესაფასებელი სახეობების რიცხვის გაზრდა, რაც შესაძლებელს გახდის მათი არელების დეტალურ შესწავლას და რუკაზე დატანას.